სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ა.(ა).ი.პ. „ აჭარის ა.რ. ტურიზმის გიდების ასოციაცია“

ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმი

პრეამბულა

ქ. ბათუმი 28 ივნისი, 2017 წელი

უმაღლესი სახელოვნებო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, სწავლებისა და პრაქტიკის ინტეგრირების, ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და ა.(ა).ი.პ. „აჭარის ა. რ. ტურიზმის გიდების ასოციაცია“ თანხმდებიან ურთიერთ თანამშრომლობაზე.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- საგანმანათლებლო შემეცნებითი და პრაქტიკული მუშაობისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- თეორიული მიმართულების სპეციალისტთა მიერ საჯარო ლექციებისა და სხვა სახის პრაქტიკული მუშაობის ჩატარებას;
- სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკისათვის ხელშეწყობას;
- ცალკეულ მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში თანამშრომლობასა და კონსულტაციების გაწევას;
- ერთობლივი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.
- აჭარის მხარეში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას კვლევისა და განათლებისათვის აუცილებელი რესურსების მოზიდვისა და სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოების დაგეგმისათვის ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.

1.2. თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურებს პროფესორები, მასწავლებლები და სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო შემოქმედებითი პროექტებში ჩართული სტუდენტები გამოიყენებენ ურთიერთშეთანხმებით.

1.3. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო-შემოქმედებით და სხვადასხვა პრაქტიკულ პროექტებს.

1.4. მხარეები მონაწილეობას მიიღებენ ერთობლივი პროექტების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა).

1.5. განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო სემინარებს, კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, ფესტივალებს, გამოფენებს და სხვა პროექტებს.

1.6. ა.(ა).ი.პ. „ტურიზმის გიდების ასოციაცია საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკის გავლასა და კურსდამთავრებულთა სტაჟირებას.

1.7 მხარეები იზრუნებენ აჭარის მხარეში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი	**„აჭარის ა.რ. ტურიზმის გიდების ასოციაციის თავმჯდომარე თეონა ზოიძე**
---------- ე. მესხია	---------- თ. ზოიძე
საქართველო, ბათუმი,	საქართველო, ბათუმი
ლუკა ასათიანის ქ. № 37	ფიროსმანისს ქ. № 18
ტ. +995(422) 27-86-67; +995(422) 27-98-95;	ტელ: +995555999975.
ელ. ფოსტა: info@batu.edu.ge	ელ. ფოსტა: ajaraguide@gmail.com
ვებ.გვ. batu.edu.ge	ვებ.გვ. www.ajaraguides.com.